ფიზიკური პირის მიმართ ღირსებისა და პატივის შემლახავი ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო რეგულირება

დაჩი ბუკია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია - სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

დაჩი ბუკია

23.06.2025

აბსტრაქტი

ადამიანის ღირსებისა და პატივის დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა და განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. მორალური ზიანის ანაზღაურება ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებისთვის ერთ-ერთი მთავარი საკანონმდებლო მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ფიზიკურ პირს შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობაში გვხვდება, მხოლოდ 1998 წლიდან, რაც მოცემული საკითხის შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს, რადგანაც ევროპული ქვეყნების ფონზე, როგორც სასამართლო პრაქტიკა, ასევე საკნონმდებლო მოწესრიგება საქართველოში შედარებით ახალია.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ არის რეგულირებული ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ ვის შეუძლია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და რა შემთხვევებში; გხვდება თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში ან/და სასამართლო პრაქტიკაში მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები; როდესაც ფიზიკური პირი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს, მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს თუ სადავო განცხადების ავტორს. ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხია საკმაოდ კომპლექსურია, რადგანაც როდესაც საქმე ეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებისთვის, ის დაპირისპირებაში მოდის გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან, რომელიც ასევე ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, შესაბამისად კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხდება მკაფიო ზღვარის გავლება, თუ სად მთავრდება გამოხატვის თავისუფლების დასაშვებობის ფარგლები რა შემთხვევებს ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა, რომ შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია როგორც სტასბურგის სასამართლოს სტანდარტები და სასამართლო

პრაქტიკა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც შეეხება გამოხატვის თავისუფლებისა და ღირსებისა და პატივის უფლების ურთიერთმიმართებას, ასევე განხილულია ევროპულ ქვეყნებში მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები.

საკვლევი საკითხის ეფექტურად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია: შედარებით-სამართლებრივი, ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი, შეფასებითი კვლევის მეთოდები. ასევე განხილულია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სტასბურგის სასამართლოს პრაქტიკა.

საკვლევი საკითხის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ქართული კანონმდებლობა მოითხოვს განვითარებას მთელ რიგ საკითხებში, კერძოდ მართალია კანონმდებლობით მკაფიოდაა განსაზღვრული თუ ვის შეუძლია, რომ მიმართოს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს და განსაზღვრულია გნსხვავებები ფიზიკურ და კერძო პირს შორის, ასევე გათვალისწინებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები, როცა საქმე ეხება ფიზიკური პირის ღირსებასა და პატივს. თუმცა, მტკიცების ტვირთის ნაწილში ქართული საკანონმდებლო ჩანაწერები და სასამართლო პრაქტიკა სრულიად განსხვავდება სტრასბურგის სასამართლოს სტანდარტებისგან, რადგანაც უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, რომ სადავო განცხადებები არის მცდარი და პირის ღირსებისა და პატივის შემლახავი ეკისრება მომჩივანს და ყოველი გარემოება, რომელსაც ეფუძვნება მისი პრეტენზია, სწორედ მან უნდა დაამტკიცოს, მაშინ როდესაც მსგავსი სახის ცალმხრივ მიდგომას არ ცნობს სტრასბურგის სასამართლო და მოპასუხესაც აკისრია ვალდებულება, რომ ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. ასევე ქართულ კანონმდებლობაში და არც სასამართლო პრაქტიკაში არ გვხვდება მორალური ზიანის განსაზღვრის ერთიანი, ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რაც იწვევს არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკვანძო/საძიებო სიტყვები: მორალური ზიანი, მორალური ზიანის ანაზღაურება, ღირსება და პატივის უფლება, გამოხატვის თავისუფლების უფლება, ცნობების გავრცელება.

Abstract

The protection of human dignity and honor is one of the main objectives of a democratic state and is enshrined in the Constitution of Georgia. Compensation for moral damages caused by the dissemination of defamatory or honor-damaging information is a key legal mechanism that enables individuals to defend their rights. It is noteworthy that the provision regarding compensation for moral damages appeared in Georgian legislation only in 1998, which gives special importance to the study of this issue, since both the judicial practice and legislative framework in Georgia are relatively new compared to European countries.

The aim of this study is to examine how Georgian legislation regulates compensation for moral damages caused by the dissemination of information that undermines an individual's dignity and honor. Specifically, it investigates: who is entitled to request such compensation in court and under what circumstances; whether Georgian legislation and/or judicial practice provide criteria for determining moral damages; and, in legal proceedings, whether the burden of proof lies with the claimant or the author of the contested statements. The issue of compensation for moral damages resulting from the dissemination of defamatory statements is quite complex, as it often comes into conflict with the right to freedom of expression—another fundamental human right. Therefore, it becomes crucial for both legislation and judicial practice to establish clear boundaries between acceptable limits of freedom of expression and its potential restrictions under Georgian law.

The study analyzes standards and case law from the European Court of Human Rights (Strasbourg Court), as well as the jurisprudence of the Supreme Court of Georgia, focusing on the relationship between the right to freedom of expression and the right to dignity and honor. Furthermore, it explores the criteria for determining moral damages in various European countries.

To effectively study the research topic, the study employs comparative-legal, historical-comparative, descriptive, and evaluative research methods. It also reviews relevant rulings by the Constitutional Court of Georgia, the Supreme Court of Georgia, and the Strasbourg Court.

The study reveals that Georgian legislation requires further development in several areas. While it clearly defines who may request compensation for moral damages and

distinguishes between private individuals and legal entities, and although it outlines the grounds for limiting freedom of expression in cases involving personal dignity and honor, the allocation of the burden of proof under Georgian law significantly differs from the standards established by the Strasbourg Court. According to the jurisprudence of the Supreme Court of Georgia, in cases involving moral damages due to defamatory statements, the burden of proof lies entirely with the claimant, who must demonstrate the falsity of the statements and their defamatory nature. This unilateral approach contrasts with that of the Strasbourg Court, which places a corresponding obligation on the respondent to prove the truthfulness of the disseminated information. Georgian law and judicial practice lack uniform, well-defined criteria for assessing moral damages. This absence contributes to the development of inconsistent judicial practice.

Keywords: moral damage, compensation for moral damage, the right to dignity and honor, the right to freedom of expression, dissemination of information.